გარდაბნის მუნიციპალიტეტის მიერ სოფელ ახალ სამგორში სასმელი წყლის სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის დამზადების სახელმწიფო შესყიდვის კონკურსი №439

საკონკურსო კომისიის სხდომის

ოქმი №2

ქ. გარდაბანი 10 მაისი, 2012 წელი

სხდომას ესწრებოდნენ:

ზვიად ეპიტაშვილი – სატენდერო კომისიის თავმჯდომარე;

მანუჩარ ჯოხაძე- კომისიის წევრი;

ნოდარ ბერუაშვილი – კომისიის წევრი;

რამაზ ბუდაღაშვილი – კომისიის წევრი;

აზა ონიანი – კომისიის წევრი;

არ ესწრებოდა:

ზვიად თაბუაშვილი – კომისიის წევრი;

ოთარ გავაშელიშვილი – კომისიის წევრი;

დღის წესრიგი:

გარდაბნის მუნიციპალიტეტის მიერ სოფელ ახალ სამგორში სასმელი წყლის სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის დამზადების შესყიდვის №439 კონკურსის დოკუმენტაციის განხილვა.

მოისმინეს:

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის გამოსვლა, რომელმაც კომისიის სხდომის დამსწრე წევრებს მოახსენა, რომ გარდაბნის მუნიციპალიტეტის მიერ სოფელ ახალ სამგორში სასმელი წყლის სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის დამზადების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ №439 კონკურსზე საკონკურსო წინადადება წარმოადგინა ერთმა მონაწილემ:

1. შპს „შა-გი 2010", 2012 წლის 25 აპრილს 13:42 საათზე.

განხილვა:

კონკურსში მონაწილე კონკურსანტმა შპს „შა-გი 2010"-მა ხარვეზით წარმოადგინა საკონკურსო დოკუმენტაცია. კერძოდ: კონკურსანტის მიერ არ იყო წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაციის 8.1; 8.2 და 8.4 პუნქტებით მოთხოვნილი, საკონკურსო წინადადება (დანართი №1-ის შესაბამისად), ინფორმაცია მიწოდების ვადების შესახებ და კონკურსანტის რეკვიზიტები. კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაცია არ შეესაბამება საკონკურსო დოკუმენტაციით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

კომისიამ დაადგინა:

1. კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაცია არ შეესაბამება საკონკურსო განცხადებისა და საკონკურსო დოკუმენტაციით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.
2. გარდაბნის მუნიციპალიტეტის მიერ სოფელ ახალ სამგორში სასმელი წყლის სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის დამზადების შესყიდვის №439 კონკურსი გამოცხადდეს დასრულებული უარყოფითი შედეგით.

3. აღნიშნული საკონკურსო კომისიის ოქმი გამოქვეყნების მიზნით გაეგზავნოს კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ელექტრონული ფოსტის contest@procurement.gov.ge –ის მეშვეობით, რათა კონკურსს მიენიჭოს სტატუსი „კონკურსი დასრულებულია უარყოფითი შედეგით"

კომისიის თავმჯდომარე: ზვიად ეპიტაშვილი

კომისიის წევრები: მანუჩარ ჯოხაძე

აზა ონიანი

ნოდარ ბერუაშვილი

რამაზ ბუდაღაშვილი

ხელწერილი

ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. გარდაბანი 10 მაისი, 2012 წელი

საკონკურსო კომისიის წევრები ვადასტურებთ, რომ გარდაბნის მუნიციპალიტეტის მიერ სოფელ ახალ სამგორში სასმელი წყლის სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის დამზადების შესყიდვის მიზნით 2012 წლის 20 აპრილს გამოცხადებულ კონკურსში #439 ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს და კონკურსში მონაწილეობით ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.

სატენდერო კომისიის თავმჯდომარე:

ზვიად ეპიტაშვილი –

სატენდერო კომისიის წევრები:

მანუჩარ ჯოხაძე –

რამაზ ბუდაღაშვილი –

ნოდარ ბერუაშვილი –

აზა ონიანი -

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

გ ა რ დ ა ბ ნ ი ს მ უ ნ ი ც ი პ ა ლ ი ტ ე ტ ი ს ს ა კ რ ე ბ უ ლ ო

№1031 „10“ 05 2012 წ.

შპს „შა-გი 2010”-ის დირექტორს
ბატონ გიორგი სებისკვერაძეს

ბატონო გიორგი

გაცნობებთ, რომ გარდაბნის მუნიციპალიტეტის მიერ სოფელ ახალ სამგორში სასმელი წყლის სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის დამზადების შესყიდვის №439 კონკურსი, საკონკურსო კომისიის მიერ გამოცხადდა დასრულებულად უარყოფითი შედეგით. ვიანაიდან კონკურსში მონაწილე ერთადერთმა კონკურსანტმა ხარვეზით წარმოადგინა საკონკურსო დოკუმენტაცია. კერძოდ: კონკურსანტის მიერ არ იყო წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაციის 8.1; 8.2 და 8.4 პუნქტებით მოთხოვნილი, საკონკურსო წინადადება (დანართი №1-ის შესაბამისად), ინფორმაცია მიწოდების ვადების შესახებ და კონკურსანტის რეკვიზიტები.

პატივისცემით,
საკონკურსო კომისიის თავჯდომარე ზვიად ეპიტაშვილი